

ფინანსური ანგარიშგება 2018

შპს ინტერლაბი

404877077

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	31.12.2018	31.12.2017
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	29006	7508
სავაჭრო მოთხოვნები	600216	592331
კონტრაგენტებისთვის გადახდილი ავანსები	33665	99093
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	493932	674375
ძირითადი საშუალებები	993968	646999
სულ აქტივები	2150787	2020306
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	28569	29468
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	900	900
საგადასახადო ვალდებულებები	-44535	-14835
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	0	71300
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	159019	0
კონტრაგენტებისგან მიღებული ავანსები	10308	43284
სულ ვალდებულებები	154261	130117
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1996526	1890189
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2150787	2020306

2018 წლის მოგება- ზარალის ანგარიშგება	
შემოსავალი რეალიზაციიდან	2031690
საქონლის რეალიზაცია	2026300
მომსახურების გაწევა	5390
საოპერაციო ხარჯები	1753630
რეალიზებული საქონლის თვითირებულება	1313093
შრომის ანაზღაურება	265850
ცვეთა და ამორტიზაცია	44412
იჯარის ხარჯი	4500
საბანკო საპროცენტო ხარჯი	17757
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	108018
სულ საოპერაციო მოგება	278060
შემოსავალი/ხარჯი სავალუტო ოპერაციებიდან	4594
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	7281
მოგების გადასახადი	27809
მოგება/ზარალი	262126

2018 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	
საწყისი ნაშთი	7508
საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	
მყიდველებისგან მიღებული ფული	2247387
მომწოდებლებისათვის გადახდილი ფული	-1525784
საბანკო სესხის აღება	411181
საპროცენტო ხარჯი	-8055
სესხის გადახდა	-339693
დივიდენდის გაცემა	-148000
გადასახადების გადახდა	-321781
იჯარა	-3600
ხელფასების გაცემა	-212680
სხვა ხარჯები	-80270
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	
სადაზღვევო პრემია	2793
საბოლოო ნაშთი	29006

შპს ინტერლაბი (კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2010 წლის 29 ოქტომბერს. კომპანიის 100%-იანი წლის მფლობელი და ასევე დირექტორი არის ზურაბ მაისურაძე.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მირიან მეფის ქ., №11ა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ მოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად საანგარიშო პერიოდი: 01.01.2018-31.12.2018. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. თანხები დამრგვალებულია ერთეულებამდე, ეროვნულ ვალუტაში (GEL).

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. ანგარიშგების მომზადებისას უცხოურ ვალუტაში წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი ეროვნული სავალუტო გაცვლითი კურსით.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში არსებული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

	ნაშთი 31.12.2017- სთვის	ნაშთი 31.12.2018- სთვის
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,211	357
ფული საბანკო ანგარიშებზე	5,297	28,649
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	5,297	28,649
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	0	0

შემოსავლის აღიარება - შემოსავალი მოიცავს საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს. შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებსა და სარგებელს მაშინ, როდესაც ხდება რეალური შეფასება რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს.

ამონაგების შეფასება ხდება მისაღები/მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულებით, დაბრუნებული თანხებისა და გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება - ხარჯების აღიარება ხდება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საწარმოდან აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე , რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით და რაც თავის მხრივ არაა დაკავშირებული მესაკუთრეზე გაცემულ განაწილებასთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები - ძირითადი საშუალების აღიარება ხდება თვითღირებულებით და მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ ხარჯებს, აქტივის მონტაჟის/დემონტაჟის ხარჯებს, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლებით. ცვეთის აღრიცხვა იწყება მაშინ, როცა იწყება მისი გამოყენება. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. აქტივის სასარგებლო ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსთვის.

ძირითადი საშუალებები	საბალანსო ღირებულება 31.12.2017ისათვის	მიღება	პერიოდის ცვეთა	საბალანსო ღირებულება 31.12.2018-ისათვის	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწის ნაკვეთები	79463			79,463	
შენობები	413,716		20,685.84	393,030	20-90
მანქანა-დანადგარები	1536	279.66	122.88	1,693	2-5
ოფისის აღჭურვილობა	7137		1,427.28	5,710	2-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	38558.89	33.05	4,499.49	34,092	2-10
სატრანსპორტო საშუალებები	87382.38		17,676.48	69,706	5-10
მშენებლობა	19206	391,068		410,274	
	646,999	391380.71	44,411.97	993,968	

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა, შენობები ან შენობის ნაწილი, ან ორივე), რომელსაც ფლობენ (მესაკუთრე ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებში) საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა:

- * გამოყენება საქონლის წარმოების, მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის;
- * გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც მოხდება ქონების გასვლა ან გამოყენების შეწყვეტა და მოსალოდნელი არ არის მომავალი ეკონომიკური სარგებელი მისი გასვლიდან. საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება/ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის შედეგად მიღებულ შემოსავალსა და ქონების საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები - მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადს, ტრანსპორტირება-დატვირთვის ხარჯებს და ნებისმიერ სხვა ხარჯებს რომელიც გაიწევა მის დასაწყობებამდე. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

გარდა გასაყიდი სასაქონლო მატერიალური მარაგებისა, კომპანია კუთვნილი ავტომობილებისათვის ყიდულობს საწვავს, რომლის ხარჯვაც ხდება სსკ-ისა და ფინანსთა მინისტრის ბრძანების მიხედვით დადგენილი ფორმებით. მარაგის ხარჯვა აისახება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

	31.12.2018	31.12.2017
სასაქონლო- მატერიალური მარაგები	493932	674375
გასაყიდი საქონელი	493608	674191
სახარჯი მარაგები	324	184

იჯარა - კომპანიის მიერ გაწეული იჯარის ხარჯი კლასიფიცირდება როგორც ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში და მოგება-ზარალში აისახება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის შესაბამისად.

კომპანია ქირაობს ავტომობილს კომპანიის მიზნებისათვის, რომლის ყოველთვიური საიჯარო გადასახადი (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით) შეადგენს 375 ლარს.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები - საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური

საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანიას აქვს აღებული საბანკო სესხი, რომლის პროცენტის დარიცხვა ხორციელდება გრაფიკის მიხედვით და აღიარდება ხარჯად მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. კომპანია ასევე სარგებლობს საკრედიტო ხაზით (მოკლევადიანი სესხი) რომლის მიმდინარე საპროცენტო ხარჯი მყისიერად აღიარდება ხარჯად შესაბამის ანგარიშგებაში.

	31.12.2018	31.12.2017
საკრედიტო ხაზი	0	71300
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	159019	0

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი - ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როცა კომპანიამ ამ დასაქმებულიდან მიიღო შესაბამისი მომსახურება.

დაბეგვრა - მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას, რომელიც გამოითვლება იმ თარიღისათვის კოდექსით მოქმედი განაკვეთით. საგადასახადო კოდექსის ახალი ესტონური მოდელის საფუძველზე დაბეგვრის ობიექტია დივიდენდის გაცემა, სხვაობა სახელშეკრულებო თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის, ხარჯები რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას, გადახდები რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას, საქონლის/მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება/გაწევა, ფულადი სახსრების უსასყიდლოდ გადაცემა, წარმომადგენლობითი ხარჯი (რომელიც აღემატება სსკ-ით განსაზღვრულ ზღვრულ ნორმას).

	31.12.2018	31.12.2017
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1996526	1890189

რაც შეეხება სხვა გადასახადებს (საშემოსავლო, ქონების, დღგ და სხვა) გამოიანგარიშება და გადაიხდება სსკ-ის მიხედვით.

	31.12.2018	31.12.2017
მოგების გადასახადი	0	0
საშემოსავლო გადასახადი	-317	-289
დღგ	-45927	-15037
გადახდილი აქციზი	0	0
ქონების გადასახადი	1708	491
	-44535	-14835

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2019 წლის 26 სექტემბერს.